



ღია მმართველობა

საგაზეთო ჩანართი № 10

სამოქალაქო ჩართულობა

წინასიტყვაობა

წარმოგიდგინთ პუბლიკაციას, რომელიც პროექტის „საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების და ახალგაზრდების ჩართულობის ხარისხის გაუმჯობესება გადაწყვეტილების მიღების პროცესში“ ფარგლებში მომზადდა. პროექტი ჩეხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ტრანსფორმაციის პროგრამის მხარდაჭერით განხორციელდა.

პროექტის მიზანი რამდენიმე ამოცანისგან შედგებოდა, კერძოდ: სამოქალაქო საზოგადოებისა და მოქალაქეებისთვის სამოქალაქო კომპეტენციების განვითარება; ადგილობრივი საჯარო მოხელეებისა და პოლიტიკოსების შესაძლებლობების გაფართოება გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეების ჩართვის კუთხით და ახალგაზრდების საჯარო ცხოვრებაში აქტიური ჩართულობის მხარდაჭერა.

პროექტის პარტნიორები აგორა ცენტრალური ევროპა (ჩეხეთის რესპუბლიკა) და საერთაშორისო ასოციაცია კივიტას გეორგია (საქართველო) ორ მთავარ კომპონენტზე ფოკუსირდნენ - (1) ლექცია-სემინარები მოქალაქეებისა და პოლიტიკოსების სამოქალაქო განათლებისთვის და (2) ახალგაზრდების სამოქალაქო განათლების დონის გაუმჯობესების ხელშეწყობა.

პუბლიკაციაში წარმოდგენილი ლექციებისა და მეთოდების პრაქტიკაში გამოყენება შეუძლია ნებისმიერ მოქალაქეს, რომელიც აქტიური მოქალაქეობის მიმართულებით თვალსაწიერისა და პრაქტიკული უნარების გაფართოებითაა დაინტერესებული.

ივანა ბურსიკოვა
პროექტის კოორდინატორი.

მოქალაქე საკონსტიტუციო პროცესში - საქართველოს 2017 წლის მაგალითზე

მარინა მუსხელიშვილი, პროფესორი,
თბილისის ივანე ჯავახიშვილის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

მოქალაქეთა დემოკრატიული თანამონაწილეობა მმართველობის პროცესში რამდენიმე ფორმითაა შესაძლებელი. იმისათვის რომ ეს ფორმები დაეხმას იათოთ, მოკლედ გავიხსენოთ, თუ რას წარმოადგენს თავად დემოკრატია. აუცილებელია მას ჰქონდეს შემდეგი სამი მახასიათებელი:

დემოკრატია უნდა აძლევდეს მოქალაქეებს შესაძლებლობას განახორციელონ საკუთარი ინტერესები. ამისთვის მათ უნდა შეეძლოს ერთობლივად დაუჭირონ მხარი ისეთ წარმომადგენლებს მმართველობაში (ლიდერებს, პარტიებს), რომლებიც მათი ინტერესების შესაბამის ღონისძიებებს (პოლიტიკას) გაატარებენ. დემოკრატიის წარმომადგენლობითი მახასიათებელი გულისხმობს პოზიტიურ ქმედებას - ლიდერობას, რომელიც (რალაც გაგებით) სასიკეთო მომავლის მიღწევაზეა



ორიენტირებული. ამომრჩეველები ირჩევენ მათთვის სასურველ ლიდერებს, თუმცა ზოგჯერ ინტერესების დაცვა პირდაპირი წესითაც არის შესაძლებელი - პეტიციების, რეფერენდუმებისა და სხვა სახის მექანიზმებით.

დემოკრატია უნდა ქმნიდეს შესაძლებლობას მმართველობა იყოს რაც შეიძლება ეფექტური. ამისთვის უნდა არსებობდეს ისეთი საჯარო სივრცე, სადაც, მსჯელობის გზით, ყალიბდება ყველაზე სწორი ან ყველაზე სასურველი პოლიტიკური გადაწყვეტილებები და გეგმები. ამ საჯარო სივრცეში უნდა ხდებოდეს არგუმენტირებული მცდელობა ოპონენტების დარწმუნების, გადარწმუნების და წარმომადგენლობითი პოზიციების დაახლოებისა. საჯარო სივრცეში მოქალაქე შეიძლება მონაწილეობდეს როგორც პირდაპირი ჩართვის გზით - რაც უფრო იშვიათია, ისევე როგორც დამკვირვებელი რომელსაც არგუმენტაციის რაციონალური განსჯის უნარი ახასიათებს.

დემოკრატია უნდა აძლევდეს მოქალაქეებს ხელისუფლების კონტროლის შესაძლებლობას. მოქალაქეებმა შეიძლება გამოთქვან პროტესტი, მოაწიონ მიტინგი ან აქცია და სხვა ფორმებით შეეცადონ შეაჩერონ ხელისუფლების ესა თუ ის არასათანადო ქმედება. ან სულაც გადააყენონ/გადაირჩიონ ხელისუფლება რომელსაც არ ენდობიან. ამ შემთხვევაში მოქალაქეები იყენებენ ვეტოს უფლებას ნეგატიური, აკრძალვითი ხასიათის მოწოდებით, ერთიანდებიან დამნაშავეების დასასჯელად და არა სამომავლო მიზნის მისაღწევად.

სრულყოფილი დემოკრატია მოითხოვს ამ სამივე კომპონენტის ფუნქციონირებას: წარმომადგენლობითობა, საჯარო მსჯელობა და კონტროლი. თუკი რომელიმე კომპონენტი აკლია ან პირიქით, იმდენად ძლიერია რომ დანარჩენ ორზე დომინირებს, დემოკრატია შეიძლება ფორმა იცვალოს და მოგვევლინოს ან ავტორიტარულ მმართველობად ან უმართავ ქაოსად. თუმცა, შესაძლებელია ისევე დემოკრატიად დარჩეს მაგრამ ფუნქციონირების ფორმა იცვალოს. სწორედ ამგვარ გარდაქმნაზე საუბრობს პიერ როზენვალონი როდესაც თანამედროვე დასავლურ დემოკრატიებს კონტრ-დემოკრატიებად მოიხსენიებს.

უკვე რამდენიმე ათეული წელია მკვლევარები წერენ დემოკრატიის წარმომადგენლობითი ფუნქციის დაკნინებაზე. თავიდან ამ დაკნინების მიზეზად თეორეტიკოსები რაციონალური მსჯელობის დეფიციტს მიიჩნევდნენ და ე.წ. დელიბერაციულ (გსანსჯაზე დაფუძნებულ) დემოკრატიებზე ოცნებობდნენ. თუმცა ეს თეორიები მხოლოდ თეორიებად დარჩა. დაკნინების კვალობაზე გაჩნდა გახლეჩა, დაპირისპირება ხალხსა და მმართველობით წრეებს შორის. ამ ნაპრალებში დაისადგურა სულ უფრო მზარდმა უნდობლობამ მოქალაქეთა მხრიდან ხელისუფლების მიმართ. დემოკრატია, რომელიც უნ-

დობლობის პირობებში მოქმედებს, ახასიათებს მზარდი მოთხოვნა სახალხო კონტროლის განხორციელებაზე, რასაც მმართველობის გამჭვირვალება სჭირდება. ამგვარ, მაკონტროლებელ დემოკრატია, პიერ როზენვალონი კონტრ-დემოკრატია უწოდებს.

კონტრ-დემოკრატიაში ხალხი, წარმომადგენლობითი დემოკრატიისგან განსხვავებით, დაინტერესებულია არა იმდენად მმართველობით (იმის განსაზღვრით თუ რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ) არამედ მმართველობაზე კონტროლით. ის ზღუდავს არამართებულ მოქმედებებს ხელისუფლების ქმედებებზე, ან თავად ხელისუფლებაზე ვეტოს დადებით. ამგვარი ქმედებები ხორციელდება არა უმცირესობის სახელით ან უმცირესობის ინტერესებში (როგორც ამას ლიბერალიზმის პრინციპები განაპირობებდა), არამედ ხალხის ისეთი სუვერენული ძალაუფლების სახელით, რომელიც უფრო ყოვლისმომცველია ვიდრე არჩევნებში დროდადრო მონაწილეობა.

კონტრ-დემოკრატიაში მოქალაქეების ჩართულობას აქვს სამი ძირითადი ფორმა: მმართველობის ზედამხედველობა, მმართველობის სანქცირება და ხალხის მსაჯულად გადაქცევა. მოქალაქე აკვირდება და აფასებს ხელისუფლების საქმიანობას, აპროტესტებს გადაცდომებს და თავად გამოაქვს განაჩენები ამ გადაცდომებთან მიმართებით.

ერთობლიობაში შესაძლოა ვილაპარაკოთ ნეგატიურ დემოკრატიაზე, მიუღებლობის პოლიტიკაზე, სადაც მოქალაქეები ერთიანდებიან ჭრელ კოალიციებში წინააღმდეგობის განწევის მიზნით და არა რალაცის მხარდასაჭერად. არჩევნების პერიოდში ამგვარი მოქალაქეები ხელმძღვანელობენ არა იმდენად იმით რომ შემოთავაზებული პროგრამებიდან ყველაზე სასურველი შეარჩიონ, არამედ პოლიტიკოსების წარსული საქმიანობის შეფასებით.

კონტრდემოკრატია თავის უკიდურეს და რადიკალურ ფორმაში არადემოკრატიულ მმართველობად, პოპულიზმად გარდაიქცევა. როზენვალონის ტერმინოლოგიას თუ მოვიშველებთ, პოპულიზმი ეს არის აპოლიტიკურის პოლიტიკა. მის დროს ხდება მმართველი ხელისუფლების ნეგატიური სტიგმატიზება მანამ, სანამ ის არ აღიქმება მტრად. მასების გულგატეხილობა და მომავალ კეთილდღეობაზე ორიენტირებული იდეოლოგიური პროგრამების არარსებობა ბადებს საპროტესტო მოძრაობებს და ზრდის ანტისისტემურ რევოლუციურ განწყობებს (მოქალაქეებში, რომლებიც თავს აპოლიტიკურებად მიიჩნევენ). მთელი სამოქალაქო აქტიობა დაიყვანება მხოლოდ ორ ფორმაზე: ხელისუფლების მხილება და ბრალდება. პოპულიზმი (კონტრ-დემოკრატიის რადიკალური და დამანგრეველი ფორმა) მთლიანად შთანთქავს და სპობს დემოკრატიის ორ კომპონენტს: წარმომადგენლობას და არგუმენტირებულ მსჯელობას.





რა არის კონტრ-დემოკრატია: ახალი ტიპის პოლიტიკური სისტემა თუ ძველად არსებული წარმომადგენლობითი დემოკრატიის დროებითი სახეცვლილება, რომელიც განსხვავებულ სახელს არ საჭიროებს?

რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტით ამ სისტემის ფუნქციონირება განსხვავდება იმისგან რაც ადრე ხდებოდა. მნიშვნელოვანია ვიცოდეთ თუ რაშია სხვაობა ადრე არსებულ და ახლად წარმოქმნილ მოდელებს შორის რათა განვითარებისა და მოქმედების რეალისტური გეგმები დავსახოთ.

მნიშვნელოვანია დაეინახოთ რომ ხელისუფლების კონტროლის ფუნქცია, რომელსაც ადრე ახორციელებდნენ პოლიტიკური პარტიები და არაკომერციული სამოქალაქო ორგანიზაციები, ანი განსხვავებული ინსტიტუტების ხელში გადავიდა. ოპოზიციურ პარტიებთან ერთად, ხალხის სახელით ამ ფუნქციას ახორციელებენ ისეთი მედია და პროფესიონალიზებული არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც მით უფრო მეტ მატერიალურ სარგებელს ნახულობენ, რაც უფრო უკეთ ამხელენ და აკრიტიკებენ ხელისუფლებას. შეიძლება ითქვას, რომ მოხდა ამ საზოგადოებრივი დაკვეთის შესრულების "პრივატიზება" სპეციალისტებზე. ახალ-ახალი სკანდალებისა და მამხილებელი ინფორმაციის გამჟღავნებით ისინი ბერავენ უნდობლობის "ბუმს", რომელიც ადრე თუ გვიან სკდება და ხალხის ამბოხს ბადებს. დაკარგული ნდობისა და რეპუტაციის აღდგენა პრაქტიკულად ვერ ხერხდება, ხელისუფლება იცვლება, თუმცა ამას ხალხის მმართველობა არ მოყვება. პოლიტიკა ხდება ციკლური, ეკონომიკის მსგავსად, მას დრო-დადრო პროგნოზირებადი კრიზისები ახასიათებს.

ხელისუფლებას ჩამოშორებული, ნდობადაკარგული პოლიტიკური პარტიები და ლიდერები ვეღარ ბრუნდებიან ხელისუფლებაში, რაც იწვევს მმართველი ელიტებისა და პარტიების მუდმივ განახლებას. ხელისუფლებაში მოდიან ადამიანები, ვისაც არ მიუღიათ პოლიტიკური საქმიანობის გამოცდილება. ეს კი დემოკრატიის წარმომადგენლობით და მსჯელობაზე დაფუძნებულ კომპონენტებს კიდევ უფრო ასუსტებს. ხელისუფლებაში მონაცვლეობენ ავტორიტარულ პოპულისტური და კონტრდემოკრატიული რეჟიმები.

ქართველი მკითხველი იოლად ამოიკითხავს კონტრ-დემოკრატიისა და პოპულიზმის აღწერაში ნაც-ნობ სურათს. თუმცა ჯობია, კონკრეტულ მაგალითზე ვაჩვენოთ, თუ როგორ ფუნქციონირებს ქართული პოლიტიკური სისტემა. ამგვარ მაგალითად 2017 წლის საკონსტიტუციო პროცესს განვიხილავთ.

პირველ რიგში, საინტერესოა არა იმდენად საკონსტიტუციო ცვლილებების შინაარსი, არამედ პროცესი, რომელიც მათ თან ახლავს. რა ინფორმაცია მიდიოდა საზოგადოებასთან და რამდენად ადეკვატური იყო ის? პროცესი დაგვანახებს ჩვენი კონტრ-დემოკრატიის ყველა მახასიათებელს: წარმომადგენლობისა და მსჯელობის სისუსტესა და უნდობლობის საწყისებს.

პოლიტიკით დაინტერესებული მოქალაქე ალბათ დამეთანხმება, რომ მეტი სისხირითა და ემოციით მედია აშუქებდა ოპოზიციური პარტიების კრიტიკას და საექსპერტო არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებებს. ინფორმაციის ამ ნაკადში დომინირებს ორი თემა - პრეზიდენტის არჩევის წესი და საარჩევნო სისტემა, რომლითაც აირჩევა პარლამენტი. ამ თემებმა აშკარად გადაფარეს ცვლილებების ის კომპონენტები, რომლებიც აქტიუალური იყო არა იმდენად პოლიტიკური ლიდერებისთვის და პარტიებისთვის, არამედ საზოგადოებისთვის. ასეთი თემების რიგს განეკუთვნებოდა რამდენიმე, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო სოციალური სახელმწიფოს საკითხი.

ჯერ კიდევ 1995 წლის რედაქციაში კონსტიტუციის პრეამბულა იუნყებოდა რომ საქართველოს სახელმწიფო არის სოციალური სახელმწიფო. ახალი რედაქციით ეს მტკიცებულება გადავიდა კონსტიტუციის ძირითად ტექსტში და სამართლებრივი ჯერ კიდევ 1995 წლის რედაქციაში კონსტიტუციის პრეამბულა იუნყებოდა რომ საქართველოს სახელმწიფო არის სოციალური სახელმწიფო. ახალი რედაქციით ეს მტკიცებულება გადავიდა კონსტიტუციის ძირითად ტექსტში და სამართ-

ლებრივი ვალდებულების მნიშვნელობა შეიძინა. ამ ინოვაციის შესახებ მოსახლეობამ პრაქტიკულად არანაირი ინფორმაცია ან განმარტება არ მიიღო, რასაც აქვს ორი მიზეზი. ერთი, რომ კონტრ-დემოკრატიის კონტექსტში განსაჯაროვდება ცვლილებების მხოლოდ კრიტიკული, არაპოპულარული ასპექტები. სოციალური სახელმწიფო საზოგადოებისთვის ცალსახად მიმზიდველი მმართველობის ფორმაა და კრიტიკის საგნად არ გამოდგებოდა. იყო მეორე მიზეზიც, რომელსაც მოგვიანებით განვიხილავთ, მანამდე კი უნდა განვიმარტოთ თუ რას ნიშნავს სოციალური სახელმწიფო.

სოციალური სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, შესაძლებლობების ფარგლებში იზრუნოს თავისი მოქალაქეების კეთილდღეობაზე, არ დატოვოს მარტოდმართო ბიზნესისა და ეკონომიკის პირისპირ საკუთარი მოქალაქეების საჭიროებები. ევროპული სახელმწიფოებისთვის დამახასიათებელია სწორედ სოციალურ სახელმწიფოდ ფუნქციონირებს, შესაბამისი ვალდებულებების აღსრულება.

სოციალური სახელმწიფო განსხვავდება ე.წ. მინიმალური სახელმწიფოსგან იმით რომ მას აქვს უფრო დიდი ბიუჯეტი მშპ-სთან შედარებით. ბიუჯეტში შედის ქვეყნის შემოსავლების უფრო დიდი ნილი, რაც აძლევს სახელმწიფოს შესაძლებლობას გახადოს ყველასათვის ხელმისაწვდომი განათლება და ჯანდაცვა, იზრუნოს უმუშევრებზე, მონყვლად სოციალურ ფენებზე და სხვა.

სოციალური სახელმწიფო განსხვავდება ე.წ. მინიმალური სახელმწიფოსგან იმით რომ მას აქვს უფრო დიდი ბიუჯეტი მშპ-სთან შედარებით. ბიუჯეტში შედის ქვეყნის შემოსავლების უფრო დიდი ნილი, რაც აძლევს სახელმწიფოს შესაძლებლობას გახადოს ყველასათვის ხელმისაწვდომი განათლება და ჯანდაცვა, იზრუნოს უმუშევრებზე, მონყვლად სოციალურ ფენებზე და სხვა.



სოციალურ სახელმწიფოში მეტია თანასწორობა, ნაკლებია შემოსავლების სხვაობა მდიდრებსა და ღარიბებს შორის.

ცხადია, ამგვარი ჩანაწერის გაჩენა კონსტიტუციაში არ ნიშნავს ავტომატურად მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას. ის გულისხმობს ვალდებულებას, მოქმედების მიმართულებას, ზრუნვას. ასეთ სახელმწიფოში აღარ უნდა ჰქონდეს ადგილი იმ ვითარებას, რომელსაც წინა ხელისუფლების დროს ვაწყებდით: როდესაც ხელისუფლებას არა მარტო არ ჰქონდა, მაგალითად, უმუშევრობის შემცირების პოლიტიკა, არამედ თვლიდნენ, რომ არც უნდა ჰქონოდათ, ვინაიდან ეს პრობლემა კი არსებობდა, მაგრამ მისი მოგვარება სახელმწიფოს ვალდებულებებში არ შედიოდა.

ამდენად, გადასვლა მინიმალური სახელმწიფოს ფილოსოფიიდან სოციალურ სახელმწიფოს აღიარებაზე ნიშნავს სახელმწიფოს რაობის ახლებურ, უფრო ევროპულ ვასაზრებას, ადამიანების სოლიდარობის, თანადგომისა და ურთიერთდამოკიდებულების აღიარებას, და არა უბრალოდ სახსრების გადანაწილებას სოციალურად დაუცველებზე.

თუმცა, ეს სოციალური სოლიდარობა გულისხმობს იმასაც, რომ სახელმწიფომ შემოსავლების მეტი ნილი უნდა წაიღოს შეძლებულებისგან, გადასახადების სახით, ვიდრე ღარიბებისგან. ეს საჭიროებს საგადასახადო რეფორმას, რომელსაც ზღუდავდა კონსტიტუციის 94ე მუხლი. ეს მუხლი გაჩნდა წინა რეჟიმის დროს, სახელმწიფოს მინიმალური კონცეფციის დამკვიდრების კონტექსტში. ამ მუხლის ამოსაღებად იყო გამოთქმული არაერთი არგუმენტი (მათ შორის ამოღებას მხარი დაუჭირა ვენეციის კომისიამაც და საერთაშორისო სავალიუტო ფონდმა). საბოლოოდ, გადაწყდა რომ ეს დებულება ამოღებულიყო კონსტიტუციის ძირითადი ტექსტიდან და გადასულიყო გარდამავალ დებულებებში, მისი შენარჩუნებით მომდევნო 12 წლის განმავლობაში.

როგორც ვხედავთ, საკონსტიტუციო ცვლილებების პროცესი სავსებით იძლეოდა შესაძლებლობას გამხდარიყო წარმომადგენლობითი, მემარცხენე-მემარჯვენე დებულების საგანი. როგორი უნდა იყოს სახელმწიფო სოციალური თუ მინიმალური? უნდა ჰქონდეს თუ არა ხელისუფლებას უფლება დაანესოს მეტი გადასახადები, მათ შორის გაცილებით მეტი მდიდრებზე? ეს არის თემები, რომლებიც წარმომადგენლობითი დემოკრატიის შუაგულში იყო საუკუნეების განმავლობაში, როდესაც პოლიტიკური პარტიები თავისი ამომრჩევლების, სხვადასხვა სოციალური ფენების, ინტერესებს გამოხატ-

ავდნენ და პარლამენტში ამ ინტერესების შესაბამისი გადაწყვეტილებებისთვის იღწვოდნენ.

საქართველოშიც, კლასიკური დემოკრატიების მსგავსად, აზრები და მისწრაფებები იყო გაყოფილი: კონსტიტუციიდან 94-ე მუხლის ამოღებას ლობივდნენ მემარცხენეები - სოციალ-დემოკრატები და სამოქალაქო აქტივისტები, ხოლო მის შენარჩუნებას - გირჩი, მსხვილი ბიზნესის ასოციაცია და ბიზნესის ნაწილი. მაგრამ ეს დაპირისპირება, რომელიც ქვეყნის არსებობის უმნიშვნელოვანეს ასპექტს ეხებოდა, დარჩა პოლიტიკისა და მედიის პერიფერიაზე, საზოგადოების ყურადღების მიღმა, გადაიფარა სხვა საკითხებით. არც ოპოზიცია არც ხელისუფლება არ იყო დაინტერესებული საკითხზე მსჯელობით, მათ შორის ამ უკანასკნელში, როგორც ჩანს არ არსებობდა კონსესუსი (მთავრობა მტკიცედ ემხრობოდა მინიმალური მთარობის იდეას, რის გამოც ხაზგასმულად ამ თემაზე არ ულაპარაკიათ).

წარმომადგენლობითი, პლურალისტური და მსჯელობაზე დაფუძნებული საკონსტიტუციო პროცესისთვის, ამდენად, არსებობდა წინაპირობა, თუმცა ის ვერ შედგა.

თემის სხვა საკითხებით გადაფარვა შეიძლება მაინც ყოფილიყო დემოკრატიისკენ წინ გადადგმული ნაბიჯი, თუკი სამაგიეროდ გადაწყდებოდა უფრო მაღალი რანგის სისტემური პრობლემები, რომლებიც ფუნდამენტურ პოლიტიკურ თამაშის ნესებს აყალიბებენ. სხვა სიტყვებით, თუკი საარჩევნო სისტემების მოწესრიგებით, რომლებიც ადრე ვახსენეთ, მოხდებოდა საზოგადოების შერიგება, კონსოლიდაცია, სამომავლო გადაწყვეტილებების ლეგიტიმაცია.

სინამდვილეში სწორედ ამ საკითხების განხილვაში გამოჩნდა იმ უნდობლობის ინსტიტუციური საწყისები, რომლებიც კონტრ-დემოკრატიას ახასიათებს. მართლაც, ახალი ტიპის პოლიტიკური პარტიები, რომლებსაც აღარ ზღუდავს პრინციპებისა და იდეოლოგიების ერთგულება (ანუ აღარ არიან წარმომადგენლობითი), ადვილად იცვლიან პოზიციებს იმისდა მიხედვით, თუ რა უფრო აწყობთ მოცემულ მომენტში. მათი ოპონენტები კი ცდილობენ საზოგადოებას არ დაავინყონ პოზიციების ეს ცვალებადობა. ეს კარგად ჩანს დებატების ხშირად განმეორებად მაგალითში: ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები აკრიტიკებენ ქართულ ოცნებას იმ გადაცდომებში, რომლებსაც თავად უშვებდნენ, ხოლო საპასუხოდ ლებულობენ შესხენვას იმ "ცხრა წლის" შესახებ როდესაც იყვნენ მმართველობაში.

საარჩევნო სისტემის საკითხი ამგვარი არგუმენტაციის ერთ-ერთი მაგალითი აღმოჩნდა. ოპოზიციური ნაციონალური მოძრაობა აკრიტიკებდა საარჩევნო სისტემას, რომელიც თავად გაამყარა იმ "ცხრა წლის" განმავლობაში. შეიძლება ითქვას რომ ამ დებატებში ორივე მხარემ წააგო ნდობაში, პოლარიზება გაიზარდა და საკონსტიტუციო პროცესმა (მიუხედავად კონსტიტუციაში შეტანილი ბევრი გაუმჯობესებისა) ვერ მოიტანა დემოკრატიისთვის სასიკეთო ცვლილება.

დასკვნის სახით საჭიროა კიდევ ერთხელ დავზრუნდეთ დემოკრატიის განმარტებას და გავიხსენოთ ის სამი კომპონენტი, რომელიც მას აუცილებლად სჭირდება: წარმომადგენლობა, მსჯელობა და კონტროლი. როდესაც ერთი კომპონენტი (ჩვენს შემთხვევაში კონტროლი) იმდენად ძლიერია რომ ამარცხებს დანარჩენ ორს, პოლიტიკური სისტემა ხდება ნაკლები. ამდენად, მოქალაქეების ინტერესებში შედის იზრუნონ დანარჩენი ორი კომპონენტის გაძლიერებაზე. სამოქალაქო აქტიუბის ყველა ფორმა, რომელიც განვითარების პოზიტიური პროგრამების მხარდაჭერაზე და მათ შესახებ გონივრულ დებატებზე იქნება მიმართული ხელს შეუწყობს საქართველოს დემოკრატიის გაჯანსაღებას.

